პროექტი

საქართველოს კანონი

„საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №18, 10.07.96, გვ. 9) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საბიბლიოთეკო სფეროში სტანდარტებსა და ნორმატივებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის (შემდგომ – ეროვნული ბიბლიოთეკა) წინადადებით შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს კულტურის სამინისტრო (შემდგომ – სამინისტრო).“.

2. მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემის მთავარ ბიბლიოთეკას წარმოადგენს ეროვნული ბიბლიოთეკა, აფხაზეთსა და აჭარაში – რესპუბლიკური ბიბლიოთეკები.“.

3. თავი IV ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი IV. ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 17. ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემაში

1. ეროვნული ბიბლიოთეკა – საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემის მთავარი ბიბლიოთეკა – არის ქვეყნის საბიბლიოთეკო საქმის კოორდინატორი და მეთოდური ცენტრი, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოების უნივერსალურ ინფორმაციულ მოთხოვნებს, ორგანიზაციას უწევს საბიბლიოთეკო, ბიბლიოგრაფიულ და სამეცნიერო-ინფორმაციულ საქმიანობას, ხელს უწყობს ეროვნული და მსოფლიო კულტურის, მეცნიერებისა და განათლების განვითარებას.
2. ეროვნული ბიბლიოთეკა არის ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის განსაკუთრებული ფასეული ობიექტი და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებას

წარმოადგენს. დაუშვებელია მისი საკუთრების ფორმის, პროფილის შეცვლა ან ლიკვიდაცია. გარანტირებულია მისი ფონდების მთლიანობა და გაუსხვისებლობა.

მუხლი 18. ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობის რეგულირება

ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონით ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ.“.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს 2025 წლის 10 მარტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი